ეკლესიის მამათა და ეგზეგეტთა კომენტარები კორინთოს ეკლესიაში არსებული განხეთქილების შესახებ

(საღვთისმეტყველო ანალიზი)

ბექა ონიკაშვილი

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
თბილისი, საქართველო
b.onikashvili@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.33

წინამდებარე საკითხი ეხება კორინთოს ახლადდაფუძნებულ ეკლესიაში წარმოშობილ განხეთქილებას, რომლის მიზეზსაც პავლე მოციქული ასაცნაურებს კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (1კორ. 1.12)[1]. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ ამ განხეთქილების არსი, არის თუ არა ამ საკითხზე ეკლესიის მამათა თანხმობა (Consensus patrum), თუ პირიქით, იგი ყოველთვის, ეპისტოლის დაწერის დღიდან, ბუნდოვანი იყო ქრისტიანული სამყაროსათვის? განიხილება ამასთან დაკავშირებით არსებული წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი, უძველესი დროიდან უახლესამდე. გავეცანით პატრისტიკულ მემკვიდრეობაში არსებულ ეგზეგეტიკურ თხზულებებს, აგრეთვე, მოგვიანებით შექმნილ განმარტებითი ხასიათის ნაშრომებსაც. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ მართლმადიდებლურ წიაღში არსებულ ერთი და იმავე მონაკვეთის სხვადასხვაგვარ გააზრებაზე. ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხის გაანალიზება მოციქულთა და ეკლესიის მამათა სწავლებათა მიხედვით, რათა მართებულად იქნას დანახული თუნდაც ის უმნიშვნელო განსხვავება, რომელიც თავს იჩენს ძველი და ახალი პერიოდის ეგზეგეტთა მოსაზრებებს შორის.

ჩვენი საკვლევი თემის აქტუალობა იმას კი არ ითვალისწინებს, რომ ახლებურად გავიაზროთ ეკლესიის მამათაგან ნამემკვიდრები სწავლებანი, არამედ გავაანალიზოთ არსებული ეგზეგეტიკური მონაცემები და ცხადვყოთ ისინი. ეს, ერთი შეხედვით, უბრალო, არადოგმატური ხასიათის პრობლემაა; ასე მიიჩნეოდა მაშინაც, როდესაც წმინდა პავლე მოციქულმა ზემოხსენებული ეპისტოლე დაწერა, მაგრამ ის შეიძლებოდა გართულებულიყო, რადგან „ეკლესიის ასეთი განყოფა უმნიშვნელო საქმე კი არ იყო, არამედ – უკიდურესად დამღუპველი“ (იოანე ოქროპირი, 1 კორ., 2017: 4), თუმცა „მან [პავლე მოციქულმა. ბ. ო.] გააანალიზა, რომ ეს ის შემთხვევაა, რომლის გამოსწორებაც ადვილადაა შესაძლებელი“ (თეოფანე დაყუდებული, 1 კორ., 2006: 21). წმინდა წერილის არასწორად აღქმულ თუნდაც ერთ მცირე ნაწილს შეიძლება მომავალში უკეთური შედეგი მოჰყვეს. რაც მოხდა უწინ, ის შეიძლება დღესაც განმეორდეს, „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი. ნახავენ რასმე და იტყვიან: აჰა, ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში” – ეკლ. 1. 9-10 (ბიბლია 1989: 587). ამიტომ ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია ამ საკითხის ისე გააზრება, როგორც ეს საეკლესიო პატრისტიკულ ტრადიციაშია წარმოდგენილი.

[1] “ხოლო ვიტყჳ ამას, რამეთუ კაცად-კაცადი თქუენი იტყჳს, ვითარმედ: მე პავლესი ვარ, ხოლო მე - აპოლოჲსი, ხოლო მე - კეფაჲსი, ხოლო მე - ქრისტესი” - 1კორ. 1.12 (ახალი აღთქმა 2017: 305).

საკითხი, თუ როგორ წარმოიქმნა სხვადასხვა ჯგუფები და ვინ იყვნენ კორინთოს ახლადაფუძნებულ ეკლესიაში ჩამოყალიბებულ დაჯგუფებათა მეთაურები, პატრისტიკულ მემკვიდრეობაში წარმოდგენილია არა უბრალო თეორიის სახით, არამედ მასზე არსებობს მკაფიო შეთანხმება ეკლესიის მამათა მხრიდან. ეპისტოლის შინაარსიდან ჩანს, რომ კორინთოში არსებობდა ოთხ ჯგუფზე მეტი და ყურადღების გამახვილება 1კორ. 1.12-ზე და იქ მოხსენიებულ ოთხ სახელზე დიდ გაუგებრობას იწვევდა და იწვევს დღესაც.

კორინთელთა მიმართ ეპისტოლის ზოგადი შინაარსის ამოსავალი წერტილი ამ თემატიკას უკავშირდება (კორინთოში წარმოშობილ განხეთქილებას), სავარაუდოდ, ყველა თემა, რომელიც ეპისტოლეშია პავლე მოციქულის მიერ განხილული, უკავშირდება ჯგუფებად ფორმირების საკითხს. წმ. ეფრემ ასური ჩამოთვლის იმ პრობლემებს, რომლებიც დაჯგუფებების წარმოშობას ედებოდა საფუძვლად:

„წინამძღვრებსა და მასწავლებლებს შორის იყო ერთი იუდეველი, და ის, თავის მეგობრებზე განდიდებული, შეიპყრო სიამაყემ. სხვა გამოირჩეოდა სიბრძნით; კიდევ სხვა იყო მდიდარი და გასცემდა უხვ მოწყალებას. ერთი იყო დაჯილდოებული წინასწარმეტყველების ნიჭით, მეორე ენებზე მეტყველებით, მესამე ენების განმარტებით, ერთნი კი აღემატებოდნენ მეორეთ იმით, რომ სახარების გამო ითმენდნენ დევნას და წამებას; და როცა თითოეული ამ მასწავლებლებიდან ქედმაღლურად ამაყობდა იმით, რაც გააჩნდათ, მოწაფეები უფრო მეტად (ვიდრე ისინი თავის თავს) განადიდებდნენ თავისი მასაწვლებლების ქედმაღლობას“[1] (преподобный Ефрем Сирин, Толкование на священное Писание, 1-е послание к Коринфянам).

კორინთოს ეკლესიაში ჯგუფებად ფორმირება გამოწვეული იყო ნათლისღების საკითხის არასწორად გაგებითაც, ვის მიერაც იყვნენ მონათლულნი მათ სახელებს ირქმევდნენ[2] („განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ადამიანები საკუთარ თავს მათი მომნათვლელის სახელით იხსენიებდნენ“ – იოანე ოქროპირი, 1 კორ., 2017: 27)

მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ თეოლოგთა უმეტესობას, რომლებიც მოგვიანო საუკუნეებში მოღვაწეობდნენ, ადრეულ საეკლესიო მამათაგან განსხვავებულად ესმით ეს საკითხი (1კორ. 1.12), მაგ.:

ალ. ლოპუხინი წერს:

„კორინთოს ეკლესიაში ჩამოყალიბდა ოთხი დაჯგუფება – აპოლოსის, პეტრესი, პავლესი და ქრისტესი“ [3] (ლოპუხინი 2009: 599).

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ. იოანე ოქროპირის ეგზეგეზა, სადაც ის საუბრობს ჯგუფებად დაყოფაზე სხვადასხვა ნიშნით (იოანე ოქროპირი, 1კორ., 2017: 3-4). ასევე, ეფრემ მცირის მიერ ეგზეგეტიკური ხასიათის, ნათარგმნ, ნაშრომშიც ჯგუფებად ფორმირება უკავშირდება სხვადასხვა ნიშნით ხალხთა გამოყოფას, მაგ. სიბრძნე, სიმდიდრე და სხვ. ამ საკითხზე იხ.: სამოციქულოს განმარტება, ტ. II, 2006: 172.

[2] შდრ. ეფრემ ასური გადმოცემს კორინთელებში ნათლისღების საკითხის არასწორად გაგების შესახებ და მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ვინც ნათლავდა ის მონათლულს თავის სახელს უწოდებდა. (преподобный Ефрем Сирин, Толкование на священное Писание, 1-е послание к Коринфянам). ასევე, იგივეს გადმოსცემს ალ. ივანოვიც, კორინთელები თავისი სახელით ნათლავდნენ სხვებს, იხ.: ივანოვი 2022: 728.

[3] აპოლოსის დაჯგუფების ჩამოყალიებებასთან დაკავშირებით ალ. ლოპუხინის ვერსია მდგომარეობს იმაში, რომ კორინთელებიდან ზოგიერთნი მოიხიბლნენ აპოლოსის წიგნიერებითა და მჭერვმეტყველებით და ამიტომ შექმნეს მისი სახელობის დაჯგუფება, ვრცლად იხ.: ლოპუხინი 2009: 599. ხოლო, ალ. ლოპუხინი, პეტრე მოციქულთან დაკავშირებით გამოთქმულ ვერსიას ასე გადმოსცემს, რომ ის ჩამოყალიბდა პალესტინიდან ჩამოსულთაგან, რომელთაც პეტრე უპირატესად მიაჩნდათ, ვრცლად იხ.: ლოპუხინი 2009: 599. პავლე მოციქულის დაჯგუფების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ალ. ლოპუხინის ვერსია მდგომარეობს იმაში, რომ პავლეს მიერ ქრისტიანობაზე მოქცეულებმა დაიჭირეს მისი მხარი და დაუპირისპირდნენ სხვა წარმოქმნილ ჯგუფებს იხ.: ლოპუხინი 2009: 599. ალ. ლოპუხინი ქრისტეს ჯგუფის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით თავის

ალ. ივანოვი კი ამგვარად ამბობს:

„კორინთოს ეკლესიაში გამოჩნდა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ატარებს ან აპოლოსის, ან კეფას, ან პავლეს, ან ქრისტეს სახელს“ [1] (ივანოვი 2022: 725).

და სხვ.

კომპლექსური კვლევისთვის დამატებით წყაროდ წარმოვადგენთ რამდენიმე ნიმუშს სხვადასხვა კონფენსიათა წარმომადგენლებისგან, მაგ.:

პროტესტანტი პასტორები ჯონ მაკარტური და უორენ უირსბი მხარს უჭერენ ამ ეპიზოდის (1კორ. 1.12) ბუკვალურ გაგებას. უ. უირსბი წერს: „რა სახით წარმოიშვა კორინთელებს შორის ეს ოთხმაგი („მე ვარ პავლესი“, „მე აპოლოსი“, „მე კეფასი“, „მე კი ქრისტესი“) დაყოფა?“ (Уоррен Уирсби, Будь мудрым!). ჯ. მაკარტური კი ამგვარად აღნიშნავს: ეკლესიას უნდა ჰქონდეს ერთი აზრი... წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება გაურკვევლობა და ხშირად ჯგუფებად დაყოფა. ეკლესიის წევრები მიემხრობიან იმ მოძღვრებს ან ეკლესიის იმ მსახურებს, რომლებიც მათი თანამოაზრენი არიან და მალე გახდებიან კორინთელთა მსგავსნი, რომლებიც იყვნენ პავლესი, აპოლოსის, კეფასი ან ქრისტესი (1 კორ. 1.12)“ (მაკარტური 2005: 42). მაგ. ასეთივე სიტუაციაა კათოლიკე ღვთისმეტყველ ჯოზეფ ფიცმაიერთან: შესაძლოა იყო ოთხი დაპირისპირებული ჯგუფი, და უნდა აღინიშნოს, რომ პავლემ დაწერა: „მე პავლესი ვარ“, და მერე მოჰყვება შემდეგი სამი, რომლებიც მიუთითებს, რომ იყო ქრისტეს დაჯგუფება აპოლოსისა და კეფას ჯგუფების პარალელურად“ (ფიცმაიერი 2008: 137). იგივე სულისკვეთებას იზიარებენ იეჰოვას მოწმეებიც: “კორინთელებიდან ზოგი აპოლოსის მიმდევრად თვლის თავს, ზოგი — პავლეს მიმდევრად“ (ბიბლიის წიგნი 46 — 1 კორინთელები). და სხვ. აქ წარმოვადგენთ ზოგიერთს იმ ეგზეგეტთაგან, რომელნიც წმინდა წერილის ამ მონაკვეთს ალეგორიულად იგებენ, მაგ. წმინდა თეოფანე დაყუდებულის მსჯელობას, რომელიც ერთგვარად აჯამებს ეკლესიის მამათა ნააზრევს:

„ყველა ჩვენი განმმარტებელი: წმინდა ოქროპირი, ნეტარი თეოდორიტე, წმინდა დამასკელი, ეკუმენიოსი, თეოფილაქტე და ამბროსიასტე ამბობდნენ, რომ კორინთოში მყოფი ზოგიერთი ქრისტიანი არა ამ [1 კორ. 1.12. ბ. ო.], არამედ სხვა პირთა ქვეშ აყენებდა თავს; მაგრამ მოციქულს არ სურდა მათი მკვეთრად დაგმობა, ამიტომ დააყენა თავისი და სხვისი სახელები, რათა ამით გამოეხატა, რომ თუკი არ ღირს ამ დიდებული სახელების განდიდება, სხვებისგან გამოყოფით, მით უფრო, ზოგიერთი ნაკლებად მნიშვნელოვანის თავად კორინთელთაგან. წმინდა ოქროპირი ამბობს: <<კორინთელები ასე არ ამბობდნენ მასზე (წმინდა პავლეზე), არც პეტრეზე, არც აპოლოსზე; მაგრამ ის მიუთითებს, რომ თუკი შეუფერებელია ასეთი პიროვნებანიც კი დააყენო შენთან ამგვარი დამოკიდებულებით (როგორც თავი და გამორჩეული მასწავლებელი), მით უფრო სხვანი. რადგან თუ არ ღირს იწოდებოდე პავლეს, აპოლოსისა და კეფას სახელად, მით უფრო სხვებისა. ამგვარად, ის პატივისცემით ჩამოთვლის ამ სახელებს, რათა სწრაფად განკურნოს მათი ავადმყოფობა. ამიტომ ის თავის სიტყვას ნაკლებად უსიამოვნოს ხდის, როდესაც არ მოიხსენიებს

ვერსიას გამთქვამს და ამბობს, რომ ზოგიერთმა უარყო მოციქულთა ავტორიტეტი და ქრისტეს ჯგუფის სახელით დაუპირისპირდა სხვებს. იხ.: ლოპუხინი 2009: 599.

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით ალ. ივანოვი ამბობს, რომ კორინთელთა ნაწილი თვლიდა, რომ პავლე იყო უსწავლელი და სუსტი ხასიათის, არასდროს ენახა ქრისტე და ამის ფონზე აყალიბებდნენ სხვადასხვა დაჯგუფებებს, ვრცლად იხ.: ივანოვი 2022: 725. ასევე, ალექსანდრე ივანოვი მიმოიხილავს დასახელებულ ოთხ ჯგუფთაგან თითოეულს და პავლეს ჯგუფის ჩამოყალიბებას უკავშირებს პავლეს სწავლებას ქრისტიანული თავისუფლების შესახებ. აპოლოსის დაჯგუფება კი ჩამოყალიბდა, მისი მჭევრმეტყველებისა და წმინდა წერილში განსწავლულობის მოტრფიალეთაგან. პეტრე მოციქულის მიდევარნი კი იცავდნენ იუდაურ წეს-ჩვეულებებს და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდნენ. ხოლო, რაც შეეხება ქრისტეს ჯგუფს, ისინი მხარს უჭერდნენ ერთ მეთაურს და წინააღმდეგნი იყვნენ მოციქულთა ავტორიტეტისა, თუმცა ისინიც ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენდნენ და არა ერთადერთს. ამ საკითხზე ვრცლად იხ.: ივანოვი 2022: 730-731.

სახელდებით ეკლესიის განმყოფელებს>>. აი, ნეტარი თეოდორიტეს სიტყვები: << კორინთელებმა დაირქვეს სხვა მოძღვრების სახელები; მაგრამ პავლემ წარმოაჩინა თავისი და აპოლოსის სახელები; დაამატა უმაღლესი მოციქულის სახელიც, რითაც ასწავლა, რომ უსამართლოა ამ სახელებისგანაც კი ამგვარი გამოყენება (ე.ი. საკუთარ თავს მიიჩნევდე გამორჩეულად, რომელიმე მათგანის მოწაფედ, სხვების უგულებელყოფის პარალელურად)>>. ასე ამბობდნენ სხვებიც (თეოფანე დაყუდებული, 1 კორ., 2006: 25-26)[1].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ წმინდა მამების - ექვთიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის მიერ განმარტებითი ხასიათის ტექსტთა თარგმანის მნიშვნელობის თაობაზე (იგულისხმება: პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ (2003) და სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ. ტომი II, 2006 წ.). ეს არის გამოკრებილ განმარტებათა კრებულები, ის ტექსტები, რომლებიც ღირებულ და მნიშვნელოვან ძეგლებად მიიჩნიეს ხსენებულმა წმინდა მამებმა რაც მათი მხრიდან ირიბი დადასტურება და გაზიარებაა იმ მოსაზრებებისა, რომელთაც წმინდა იოანე ოქროპირი და ეკლესიის სხვა მამები გამოთქვამდნენ ამ საკითხზე.

საინტერესოა თუ რატომ დაფარა პავლე მოციქულმა დაჯგუფებათა მეთაურების ნამდვილი სახელები?

ეკლესიას ჰყავს ერთი თავი და ეს იესო ქრისტეა, კორინთოში კი ზოგიერთი თვითნებურად დაადგინეს ცალკეული ჯგუფების მეთაურებად, რითაც ეკლესიის ერთიანობას საფრთხე დაემუქრა. მართალია, ამგვარი უმსგავსო საქციელი თავად მათთვისაც ცხადი იყო, მაგრამ არც იმას ცდილობდნენ, რომ დიდებისმოყვარეობის ვნებას გამკლავებოდნენ, რის გამოც ამ საქმეს სხვა საბურველში ახვევდნენ: „...ეკლესიის განყოფაში ბრალდებულ ადამიანებს პატივმოყვარეობის გამო რცხვენოდათ და ცდილობდნენ, ამ საქმის მოქმედად არ გამოჩენილიყვნენ, ამიტომ ისინი საკუთარ ვნებებს იმით ფარავდნენ, რომ ხალხს არწმუნებდნენ, თითქოსდა სრულყოფილ სწავლებას ქადაგებდნენ და სხვებზე მეტ სიბრძნეს ფლობდნენ“ (იოანე ოქროპირი, 1 კორ., 2017: 5).

პავლე მოციქულმაც კეთილგონივრულად განსაჯა და გაითვალისწინა, თუ რაოდენ ძნელი დასაძლევია პატივმოყვარეობის ვნება და რამდენად რთულია პირდაპირი მხილების შედეგად გამოწვეული სირცხვილის ატანა. ამიტომ მათი ვინაობა დაფარა და ისინი ეპისტოლეში სახელდებით არ უხსენებია. ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რის გამოც მათ არც წმინდა კლიმენტი რომაელი ახსენებს თავის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ.

აქვე გამოსარკვევია, თუ რამდენად ხშირად გადმოსცემს წმინდა პავლე მოციქული თავის სათქმელს ამგვარად – ალეგორიულად. ზოგადად, წმინდა წერილს ახასიათებს ამგვარი მსჯელობა („აღვაღო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა დასაბამითგან სოფლისაჲთ“ (მთ. 13.35; ფს. 77.2), როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1კორ. 1.12-ში პავლე მოციქული წერს ერთს, ხოლო გულისხმობს სრულიად სხვას. მაგალითად, ამგვარი ეპიზოდი ჩვენ გვხვდება გალატელთა მიმართ ეპისტოლეშიც, სადაც „პავლესა“ და „პეტრეს“ დაპირისპირებას აქვს გამოსასწორებელი და განსწავლითი ხასიათი. თვალის სახილველად

[1] სტილი დაცულია. შდრ.: „განმარტებად იწყო, „ხოლო ვიტყჳ ამას“, არამედ არა მარტივად ეტყჳს ბრალსა მათსა, არამედ მიფარულად-რე, რამეთუ არა ამას იტყოდეს იგინი, ვითარმედ: „მე პავლესი ვარ“, და შემდგომისა ამისსა, არამედ ქრისტეს თანა მოციქულნიცა მისნი შეურაცხ-ექმნნეს, ვითარცა გლახაკნი და უსწავლელნი; და ბრძენნი ვინმე და მდიდარნი, წარმოესხნეს მოძღურად თჳსსა...“ (სამოციქულოს განმარტება, ტ. II, 2006: 172). ასევე: „მოციქული ძირითურთ აღმოჰფხურის მათგან ვნებასა ამას, ვითარმედ: არა ხოლო უცხონი ვინმე და უზიარებელნი [მადლისანი], არამედ [დაღაცათუ ქადაგნი] ესე თქუენნი სახელდებულ და [შესწავე]ბულ მყვნეთ თქუენ ზედა წოდებულსა მაგას სახელსა ქრისტესსა, არავე უცოდველ, არცა უბრალო იყვნეთ. და უკუეთუ ჩუენთჳს იბრალებით, რაოდენ უფროჲს - უცხოთა მათთჳს!“ (სამოციქულოს განმარტება, ტ. II, 2006: 172-173).

კი ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, თუმცა მათ შორის, სინამდვილეში, არ იყო უთანხმობა. მოციქულთა კრების (დაახ. 48-52 წწ.) შემდეგ მომხდარ მოვლენას პავლე მოციქული აღწერს, რითაც მიგვანიშნებს ამ ინციდენტის სრულ აბსურდულობაზე, მის არარეალურობაზე; რა თქმა უნდა, კრებამდეც, კორნილიოსის მოქცევისა და პეტრე მოციქულის მიერ ამ საკითხის გარჩევის შემდეგ (საქ. თ. 10.; 11. 1-18), შეუძლებელი იქნებოდა, პეტრე ასეთ საყვედურს მშვიდად შეჰგებებოდა პავლესაგან, მით უმეტეს, მოციქულთა კრების შემდგომ, როდესაც ყველაფერი გაცხადდა წარმართების საკითხთან დაკავშირებით (საქ. 15. 1-32; გალ. 2. 1-10).

აქ ჩვენ ვდგებით დილემის წინაშე – იქნებ, სულ ასე, სიმბოლურად განმარტავენ მამები წმინდა წერილს და რეალობას ვერ ხედავენ, რეალობა კი, ზოგჯერ, თავად წმინდა წერილის ზედმიწევნით, პირდაპირი გაგებით უნდა აღვიქვათ (როგორც ეს ხშირად შეიმჩნევა ახალი დროის თეოლოგთაგან). ამის საპასუხოდ, მოვიყვანთ იოანე-მარკოზთან დაკავშირებულ ეპიზოდს, სადაც დავინახავთ, რომ მამები აქ არ იყენებენ ალეგორიულ მეთოდს, არამედ პირდაპირ იგებენ მათ შორის (პავლესა და ბარნაბას შორის) არსებული დაპირისპირებისა და გაყოფის ეპიზოდს:

„მკსინვარებაჲ იგი მცირე იყო, რაჲთა იმხილნენ, ვითარმედ იგინიცა კაცნი არიან და არა ქვისა, არცა რკინისა გუამითა, არამედ ამითვე ჴორცთა უძულურებითა შემოსილნი უჴორცოთა მოქალაქობასა მოიღუაწებდეს“ (სამოციქულოს განმარტება, ტ. I, 2011: 273).

საბოლოოდ, შემაჯემებელი დასკვნის სახით, აღვნიშნავთ: კორინთოს ეკლესიაში წარმოქმნილი განხეთქილების მიზეზს წარმოადგენდა არამართებულად აღქმული ნათლისღებითი და სამოძღვრო საკითხები, რის შედეგადაც დაიწყო სხვადასხვა „ჯგუფების“ ფორმირება. როგორც უკვე, მრავალგზის, აღვნიშნეთ ეს ჯგუფები ოთხზე მეტი იყო და არცერთი მათგანი არ ატარებდა მოციქულთა თავების (პეტრესა და პავლეს), არც თავად ღვთის (ქრისტეს), და არც მოციქულთა მოწაფისა და კორინთოს პირველი ეპისკოპოსის (აპოლოს) სახელს. ვფიქრობთ, რომ შევძელით ამ საკითხის შესაბამისი გაანალიზება და წარმოჩენა მოციქულთა და საეკლესიო მამათა სწავლების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: ეკლესიის მამები, ეგზეგეტები, კომენტარები, კორინთოს ეკლესია, განხეთქილება

ლიტერატურა:

აგურიდისი 2024: საბა აგურიდისი, პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 2024

ახალი აღთქმა 2017: „ძველი ქართული ახალი აღთქუმაჲ სქოლიოებით“, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით, გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2017

ბიბლია 1989: ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989

ბიბლიის წიგნი 46 — 1 კორინთელები, ინტერ. საიტი https://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/1101990107 (ბოლო ნახვა: 13.01.2026)

თეოფანე დაყუდებული, 1კორ., 2006: СВЯТИТЕЛЬ ФЕОФАН ЗАТВОРНИК, Толкование Послания апостола Павла, к КОРИНФЯНАМ ПЕРВОГО, Москва., 2006

ივანოვი 2022: ალექსანდრე ივანოვი, სახელმძღვანელო ახალი აღთქმის წმინდა წიგნთა შესასწავლად, 2022

იოანე ოქროპირი, 1 კორ., 2017: წმინდა მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი, შრომები, ტ. XIV, კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს განმარტება, თბილისი, 2017

ლოპუხინი 2009: Толковая Библия, или Комментарии на все книги Св. Писания Ветхого и Нового Завета под редакцией А.П. Лопухина. Т. VII. 2009

მაკარტური 2005: Джон Ф. Мак-Артур, мл., ТОЛКОВАНИЕ КНИГ НОВОГО ЗАВЕТА, 1-е Послание к Коринфянам, 2005

სამოციქულოს განმარტება ტ. I, 2011: სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოავანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის)

მიერ, ტ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2011

სამოციქულოს განმარტება ტ. II, 2006: სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტ. II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2006

ფიცმაიერი 2008: JOSEPH A. FITZMYER, FIRST CORINTHIANS, 2008

преподобный Ефрем Сирин, Толкование на священное Писание, 1-е послание к Коринфянам, ინტერ. საიტი https://azbyka.ru/otechnik/Efrem_Sirin/tolkovanie-na-pervoe-poslanie-k-korinfjanam/ (ბოლო ნახვა: 13.01.2026)

Уоррен Уирсби, Будь мудрым!, ინტერ. საიტი http://www.blagovestnik.org/books/00193.htm (ბოლო ნახვა: 13.01.2026)

Beka Onikashvili

Tbilisi Theological Seminary
Tbilisi Georgia
b.onikashvili@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.33

Comments of Church Fathers and Exegetes on the Schism in the Church of Corinth

Abstract

The aim of this article is to investigate the causes of the divisions that emerged in the newly founded Church of Corinth (1 Cor. 1:12), based on the commentaries of Church Fathers and exegetes from different historical periods. The study draws upon a wide range of patristic exegesis and scholarly literature, examining a substantial body of sources from antiquity to the modern era.

It is argued that the divisions within the Corinthian Church arose from a misinterpretation of baptismal and catechetical issues, which in turn led to the formation of various "groups." The research demonstrates a consensus among the Church Fathers (consensus patrum) on this matter. At the same time, it becomes evident that the majority of Orthodox and non-Orthodox theologians of later centuries understood the issue differently from the early Fathers. Whereas the Fathers offered a spiritual interpretation of the passage, most later authors tended to read it literally—a tendency that continues to the present day.

The article presents examples of both literal and spiritual interpretations of Scripture, using 1 Corinthians 1:12 as a case study. The findings show that all the Church Fathers who addressed this issue unanimously emphasised that the grouping of the four names mentioned in 1 Corinthians 1:12 did not, in fact, exist in Corinth at that time.

On the basis of exegetical homilies and treatises, the study offers a systematic overview and synthesis of this specific problem. The value of the article lies in its consolidation, analysis, and objective resolution of the issue through a comprehensive engagement with patristic interpretations preserved within the early Christian tradition.

Keywords: Church fathers, Exegetes, Church of Corinth